



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №06

10 იანვარი 2017 წ.

ქ. მარნეული

„მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ №45 დადგენილების (www.matsne.gov.ge; 010250050.35.159.016223; 31/12/2015წ) დანართი 1-ში:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) შიდა აუდიტის წლიური ანგარიში წარუდგინოს მუნიციპალიტეტის გამგებელს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე.“.

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს და წარუდგენს გამგებელს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი